ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრის,
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მარიკა დარჩიას

ანგარიში (2020-2021წწ)

2017 წლის 14 ნოემბრიდან ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის და განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს თავმჯდომარე.

სტატისტიკა

- საკრებულოს სხდომათა რაოდენობა: 21
- ბიუროს სხდომათა რაოდენობა : 24
- მიღებული დადგენილებების რაოდენობა: 108
- მიღებული განკარგულებების რაოდენობა: 497

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია;

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა: 14
- განხილული საკითხების რაოდენობა: 69

განათლებისა და კულტურის კომისია

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა:13
- განხილული საკითხების რაოდენობა:17

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა: 16
- განხილული საკითხების რაოდენობა: 24

კომისიური მუშაობა:

<u>განათლებისა და კულტურის კომისია</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომებისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვაში. აღნიშნულ პერიოდში განვიხილეთ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამები, „კულტურული ღონისძიებები"; „შემოქმედებითი თბილისი"; „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა"; „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა"; „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა"; „სპორტული ღონისძიებები"; „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა". კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში აღსანიშნავია ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის „**მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება**" დაფუძნება. თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო სივრცე, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს ისარგებლოს მრავალფეროვანი ფონდით, როგორც წიგნადი (მატერიალური) ისე ელექტრონული რესურსებით. ასევე, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, არქიტექტურულ მხატვრული კომპოზიციის მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცება, დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის გაცნობა. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობამ მნიშვნელოვნად განავითარა ჩვენი ქალაქი და მას ახალ სიცოცხლე შესძინა.

<u>სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია</u>

2020 წლის ნოემბრიდან ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 14 სხდომა და განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 69 საკითხი.

სახელი მიენიჭა დედაქალაქის არაერთ გეოგრაფიულ ობიექტს: ქუჩას, სკვერს, სპორტულ მოედანს. ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღს კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელი მიენიჭა. 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპული ქალბატონის სახელი მიენიჭა ჩუღურეთის რაიონში მდებარე ქუჩას; ასევე, მსახიობების, რეჟისორების, საზოგადო მოღვაწეების, პოეტების, მწერლების, საომარ მოქმედებებში დაღუპული მებრძოლების სახელები მიენიჭა დედაქალაქის რიგ ქუჩებს.

მოსახლეობასთან ურთიერთობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფითი რეალობის, საჭიროებებისა და ინიციატივების გაცნობის, მათთვის და დედაქალაქისათვის პრიორიტეტულ თემებზე რეაგირების მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღების საკითხს. საანგარიშო პერიოდში შევხვდი და მოვუსმინე თითოეულ მოქალაქეს, რომელთაც როგორც საკრებულოს წევრს, მომმართეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის, აღსანიშნავია: სოციალური, ჯანდაცვის, დასაქმების, სპორტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო, ქუჩების სახელდება და სახელწოდების აღმნიშვნელი აბრების განთავსების თემები.

აქტიური კოორდინაცია მქონდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციასა და სტრუქტურულ ერთეულებთან. ასევე, ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს კომისიებთან, მათი საქმიანობის სფეროს შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევის მიზნით.

მოქალაქეთა მიღებისა და შეხვედრების ფორმატში აღსანიშნავია, ასევე, საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად, მოსახლეობასთან გასვლითი, გაცნობითი თუ სხვა სახის ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია კორესპონდენცია და დოკუმენტბრუნვა, როგორც შიდა სტრუქტურულ თემებზე, ასევე სხვა უწყებებიდან შემოსულ საკითხებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე. გავეცანი თითოეულ შემოსულ კორესპონდენციას და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ ვადებში, სამდივნოს თანამშრომელთა ჩართულობით, თითოეულ მათგანზე მოვახდინეთ შესაბამისი რეაგირება (მივიღეთ ცნობის სახით, გავუწიეთ შუამდგომლობა).

სისტემატურად კონტროლდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ცხელ ხაზზე შემოსულ ზარები, სადაც მოქალაქეები ძირითადად მოგვმართავენ ქალაქის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ზონალურ ცვლილებებზე, სატრანსპორტო და სოციალურ თემებზე, ქუჩების სახელდებაზე, მიწის ლეგალიზებაზე.

ვასრულებ საკრებულოს წევრის კანონმდებლობით გაწერილ უფლეობა-მოვალეობებს, მათ შორის, ვესწრები დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებს.

საანგარიშო პერიოდში ჩართული გახლდით აპარატის ყოველდღიურ საქმიანობაში. აპარატს, როგორც საკრებულოს სამუშაო რეჟიმის წარმმართველ, განსაკუთრებულ რგოლს, წარმოდგენილი ჰქონდა სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული თუ სოციალური პროექტი. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოეწყო გასვლითი ტრენინგები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და აპარატის თანამშრომელთათვის.

გენდერული საბჭოს მუშაობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. მას შემდეგ, რაც საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო და დადგენილებით განისაზღვრა საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი. 2018 წელს გენდერულმა საბჭომ შეიმუშავა და საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018-2020 წწ გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რაც ითვალისწინებს შემდეგს:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმის დამკვიდრება;
- გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;
- საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა;

გენდერული პოლიტიკის გატარება ადგილობრივ დონეზე ქვეყნის მთავარი გენდერული სტრატეგიის ნაწილია. მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი აღნიშნული საკითხის დარეგულირებაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები ახორციელებენ აქტიურ საინფორმაციო კამპანიას როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, ასევე, თანამშრომლობას მაჟორიტარების წარმომადგენლობებთან, რაც გულისხმობს ყოველთვიური ინფორმაციის მიღებას თუ რა საკითხებით მიმართავენ მოქალაქეები მაჟორიტარების წარმომადგენლობებს დახმარების თხოვნით. ეს ყველაფერი იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო ახლოს ვიდგეთ მოსახლეობასთან, გავეცნოთ მათ პრობლემებს და დავეხმაროთ საკითხების მოგვარებაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებასა და აქტივობაში მივიღე მონაწილეობა.

24 დეკემბერი 2020

საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე ონლაინ რეჟიმში გაიმართა.

საბჭოზე ახალი წევრების მიღების საკითხსა და 2020 წელს განხორციელებულ აქტივობებზე ვისაუბრეთ. მიმდინარე საკითხებთან ერთად, 2021 წლის თებერვლის თვეში, გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებული ფორუმის ჩატარება დაიგეგმა, რაც მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისა და მათი მოგვარების გზების დასახვის საშუალება იქნება.

საბჭოს სხდომაზე პროექტი ,,გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა ადგილობრივ თვითმმართველობებში" განვიხილეთ, რომელიც ,,შვედური საერთაშორისო ცენტრი ადგილობრივი დემოკრატიისთვის" ხელშეწყობით იმართება და გენდერული საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვას ემსახურება.

11 თებერვალი 2021

თბილისის საკრებულოში მემორიალური სკამების განთავსებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გავმართეთ. შეხვედრაზე დედაქალაქში არსებულ სკვერებში მემორიალური სკამების განთავსების ინიციატივა განვიხილეთ.

ხსენებული სკამების განთავსების პრაქტიკა მსოფლიოს არაერთ ქალაქში არსებობს. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც საპარკე კულტურის განვითარების, ასევე ქალაქის მეხსიერებისა და ისტორიის ყოველდღიურ ცხოვრებაში განცდის თვალსაზრისით. პროექტი მნიშვნელოვანია განათლებისა და ტურიზმის მიმართულებითაც.

02 მარტი 2021

ჩემი, როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, დაიწყო და გრძელდება პროექტი, რომელიც თავიანთი საქმიანობით გამორჩეული ქალების წარმოჩენას ისახავს მიზნად.

პროექტის დასაწყისისთვის, ათვლის წერტილად, აღებულ იქნა თებერვლის თვე, როგორც მეცნიერ ქალთა თვე, რომლის ფარგლებიც შევხვდი ქართველ მეცნიერს, ეთნოლოგს, ისტორიკოს, პედაგოგს თამილა ცაგარეიშვილს და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ალერგოლოგ-იმუნოლოგ, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს მაია გოთუას ესტუმრა. მათ პატივისცემის ნიშნად თაიგულები, წიგნები და სამახსოვრო საჩუქრები გადავეცი.

24 ივნისი 2021

ძალადობის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, თბილისის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან და გამგეობების თანამშრომლებთან საინფორმაციო შეხვედრები დავიწყეთ. პროექტი გაეროს და დანიის მთავრობის მხარდაჭერით, საკრებულოს გენდერულ საბჭოსთან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდა და მაჟორიტარი წევრების ბიუროებსა და გამგეობებში ძალადობის წინააღმდეგ ინფორმაციის გავრცელებას და ამ საკითხისადმი ცნობადობის გაზრდას ითვალისწინებს.

კამპანიის ფარგლებში გამოიცა ძალადობის წინააღმდეგ საინფორმაციო სანიშნეები. სანიშნეებზე იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი და ტელეფონის ნომრებია მითითებული, რომლებსაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიმართოს. სწორედ ამ საინფორმაციო სანიშნეების დარიგება დაიწყო მაჟორიტარების ბიუროებში.

30 ივნისი 2021

თბილისის საკრებულოში, ჩემი ინიციატივით ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ქალაქ თბილისის თავის, დიმიტრი ყიფიანის სახელობის საგამოფენო სივრცე გაიხსნა. ღონისძიებას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, დედაქალაქის მერი კახა კალაძე, საკრებულოს და პარლამენტის წევრები, დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები, ცნობილი მეცნიერები, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების მკვლევარები და დაინტერესებული პირები დაესწრნენ.

საგამოფენო სივრცეში დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური მასალა და დიმიტრი ყიფიანის ხელნაწერებია წარმოდგენილი. განუსაზღვრელად დიდია დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი ქვეყნის და დედაქალაქის წინაშე. გარდა იმისა, რომ დიმიტრი ყიფიანი იყო საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, იგი 1875 - 1879 წლებში იკავებდა თბილისის ქალაქის თავის პოსტს და მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, თანამოაზრეებთან ერთად შეძლო ქალაქისთვის სასარგებლო საქმე ეკეთებინა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

დიმიტრი ყიფიანის ეს დარბაზი პრაქტიკულად გვასწავლის ყველას, როგორები უნდა ვიყოთ. რომ არასოდეს დაგვავიწყდეს, როგორ მოვიდა ჩვენი ქალაქი აქამდე, როგორ მოვიდა ჩვენი ქვეყანა. ვიმედოვნებთ, რომ საკრებულოში გახსნილი საგამოფენო სივრცე საინტერესო იქნება თბილისელებისთვის და დედაქალაქის სტუმრებისთვის.

10 ივლისი 2021

რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქუჩის მუსიკოსებმა დიდი კომპოზიტორის სიმღერები შეასრულეს. გადავწყვიტეთ, რომ დიდი ქართველი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის იუბილე ქუჩის მუსიკოსებთან ერთად აღგვენიშნა და მის მიმართ პატივისცემა კიდევ ერთხელ ამ ფორმით გამოგვეხატა.
რევაზ ლაღიძის უკვდავი ჰანგები თავისუფლების მოედანზე, საკრებულოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჟღერდა.

22 ივლისი 2021

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ჩემი ინიციატივით და გენდერული საბჭოს მხარდაჭერით გამოცემული წიგნის ,,შეიყვარე შენი თავი“ პრეზენტაცია გაიმართა.
გაჩნდა იდეა, რომ გამოცემულიყო წიგნი, რომელშიც გოგონების ისტორიების შესახებ იქნებოდა მოთხრობილი. მივმართე კაც მწერლებს , რომლებმაც დაწერეს საინტერესო ესეები მათი ცხოვრების შესახებ .

წიგნში მოთხრობილია სხვადასხვა ასაკის გოგონების ისტორიები. ეს არის ამბები იმაზე, თუ როგორ დაამარცხეს მათ კომპლექსები, გაარღვიეს საზოგადოების მიერ დაწესებული სტანდარტები.

ყოველ ისტორიას კაცი მწერლების საინტერესო ამბები მოსდევს, რომლებიც გოგონების მონათხრობის გავლენით არის დაწერილი. ამ მოთხრობების ავტორები არიან: ბასა ჯანიკაშვილი, დავით გორგილაძე, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, გია მურღულია, გიორგი კეკელიძე, ირაკლი შამათავა, ტორესა მოსი.

პროექტი შემდეგი ორგანიზაციის ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა: მულტიმედია პლატფორმა „GrlzWave"-მ შექმნა თამამი ქალების ისტორიები, რომელის ელექტრონული ვერსია The Body Shop-ის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა. გამოცემაზე ასევე მუშაობდა ციფრული სააგენტო Elliot.

10 აგვისტო 2021

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად სამუშაო შეხვედრა ონლაინ რეჟიმში გავმართე.

შეხვედრაზე ,,სამართლიანი ქალაქის გზამკვლევის" შემუშავებული პროექტი, მისმა მონაწილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა წარმოადგინა.

გზამკვლევი აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებითა და დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით შედგა და ის არაერთ მიზანს აერთიანებს, მათ შორისაა: თბილისში სამართლიანი და სიცოცხლისუნარიანი საცხოვრებელი გარემოს ფორმირებისთვის - ქალაქმგეგმარებლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დახმარების აღმოჩენა, აგრეთვე კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობისთვის და სხვა.

გზამკვლევზე მუშაობა ხანგრძლივად მიმდინარეობდა და მის დამუშავებას საფუძვლად საერთაშორისო, კერძოდ ვენის გამოცდილება დაედო.

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ყველა წესისა და რეკომენდაციის დაცვით განვაგრძობთ სხვადასხვა შეხვედრასა და აქტივობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სხვადასხვა შეხვედრები და აქტივობები პერმანენტულად თავსდება საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tbsakrebulo.gov.ge).